საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *გია ბერაიას* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20
წერის უნარი	19	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5
პროფესიული აქტივობები	3	5
ქულათა ჯამი	90	100

სახელი, გვარი: ლევან გზირიშვილი
თარიღი: 27.05.2021 წ.

გია ბერაია

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურში მონაწილე კანდიდატის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		**კომენტარი**
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი არის კორექტული, თავდაჭერილი, პატიოსანი. ის სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს, მის მიმართ დისციპლინური დევნა არ დაწყებულა. აღსანიშნავია, რომ მას აქვს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კოლეგებს შორის. ის არის პრინციპული და დამოუკიდებელი. თავის მოვალეობებს ასრულებს შესაბამისი პასუხისმგებლობით, მათ შორის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კანდიდატი მიუკერძოებელია პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**18**	**20**	კანდიდატი კარგად ფლობს ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. კანდიდატი ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების მიმართულებით, მათ შორის

			ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	19	20	კანდიდატს გააჩნია ხანგრძლივი პროფესიული გამოცდილება. მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი, ამასთან, გასაგები მხარეთათვის.
წერის უნარი	19	20	თავის მოსაზრებებს კანდიდატი წერილობით აფიქსირებს საკმაოდ დასაბუთებულად და დამაჯერებლად, ამასთან თანმიმდევრულად, გამართულად და გასაგები ენით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	14	15	ზეპირი კომუნიკაციისას კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებს დამაჯერებლად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ნაკლები დასაბუთებულობით. ის თავის მოსაზრებებს აფიქსირებს ღიად და გამჭვირვალედ. ამასთან, მას აქვს უნარი მოთმინებით მოისმინოს სხვისი მოსაზრება.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	კანდიდატი არის პასუხისმგებლიანი და შრომისმოყვარე. მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი. კანდიდატს გააჩნია დამოუკიდებლად აზროვნებისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარი.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	2	5	კანდიდატი იშვიათად ესწრება შესაბამის პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ღია არის სიახლეების მიმართ და მას აქვს თვითგანვითარების შესაბამისი უნარი. ის აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს.
პროფესიული აქტივობა	3	5	კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ამასთან, კანდიდატი პერიოდულად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს.
ქულათა ჯამი	90	100	
დასაბუთება	საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასებას		

	საფუძვლად უდევს გასაუბრება და მის შესახებ მოძიებული ინფორმაცია, რომელიც მოიცავს სხვადასხვა უწყებიდან გამოთხოვილ და თავად კანდიდატის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მისი რეკომენდატორებისა და გამოკითხული რესპოდენტების (კანდიდატის კოლეგების) მიერ შევსებულ კითხვარებსა და რეკომენდაციებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ ორგანული კანონის 36[3] მუხლის შესაბამისად ფასდება კანდიდატის კეთილსინდისიერება და კომპეტენტურობა. **<u>კეთილსინდისიერების კრიტერიუმებით</u>** მოსამართლეობის კანდიდატის, გია ბერაიას შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები: • *პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;* • *დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;* • *პიროვნული და პროფესიული ქცევა;* • *პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;* • *ფინანსური ვალდებულება.* **<u>პიროვებული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი</u>** მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გია ბერაიას საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, ის ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს. კერძოდ, კანდიდატს არ უფიქსირდება მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური ვალდებულება. გია ბერაია არ არის რეგისტრირებული მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში. ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწნებული საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის დაკისრებული ჯარიმები კანდიდატს დაფარული აქვს დროულად, კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების დაცვით. ამდენად, კანდიდატი სათანადო პასუხისმგებლობითა და კეთილსინდისიერებით ასრულებს თავის მოვალეობებს. **<u>დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა</u>** კანდიდატის დამოუკიდებლობას, პრინციპულობასა და საქმისადმი ერთგულებას

	დადებითად აფასებენ მისი რეკომენდატორები და გამოკითხული კოლეგები. მოძიებული ინფორმაციის თანახმად, გია ბერაია არ ყოფილა რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრი, მხარდამჭერი და შემომწირველი. ამასთან, გასაუბრების მიმდინარეობისას მას არ გამოუვლენია რაიმე სახის შეუწნარებლობა ან ტენდენციური დამოკიდებულება ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფის მიმართ. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი არის მიუკერძოებელი პოლიტიკური თუ სხვა ნიშნით. **<u>პიროვნული და პროფესიული ქცევა</u>** გია ბერაიას სათანადოდ აქვს გააზრებული მოსამართლის როლი და პასუხისმგებლობა, მისი ქცევა როგორც კოლეგებთან, ისე სასამართლო დარბაზში მხარეებთან ურთიერთობისას შეესაბამება მოსამართლის მაღალ წოდებას, რასაც ადასტურებენ კანდიდატის გამოკითხული კოლეგები. კანდიდატი სათანადოდ იცავს სამოსამართლო ეთიკის ნორმებს. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, გია ბერაიას მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი მხარედ ან დაზარალებულად არ წარმოდგენილა, ამასთან მას არ წარსდგენია სისხლისსამართლებრივი ბრალდება. გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა კორექტულობა და თავდაჭრილობა. მას შესწევს საკუთარი ემოციების მართვის უნარი. **<u>პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია</u>** კანდიდატს აქვს კარგი პირონული და პროფესიული რეპუტაცია. გამოკითხული რეკომენდატორები და კოლეგები მას ახასიათებენ დადებითად. კანდიდატის პიროვნულ და პროფესიულ თვისებებს ისინი აფასებენ ძალიან კარგად. გამოარჩევენ კანდიდატის შრომისმოყვარეობას, დამოუკიდებლობას, თავდაჯერებულობას, პრინციპულობას, საქმისადმი ერთგულებასა და ა.შ.. გამოკითული რესპოდენტები მიიჩნევენ, რომ გია ბერაიას არ ახასიათებს იმგავრი სისუსტე ან ნაკლოვანება, რომელიც ხელს შეუშლის მის მიერ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელებას.

ფინანსური ვალდებულება

როგორც უკვე აღინიშნა, კანდიდატი ჯეროვნად და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის ფინანსურ ვალდებულებებს. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ აღნიშნული გამორიცხავს მოსამართლის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების შედეგად, მის მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით საფრთხის შექმნის ეჭვს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე კეთილსინდისიერების პრეზუმფციის გათვალისწინებით, რომლის თანახმად მოსამართლე ითვლება კეთილსინდისიერად თუ კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის თანახმად არ დადასტურდება მის მიერ რაიმე სახის არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, გია ბერაია სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს.

კომპეტენტურობის კრიტერიუმების მახასიათებლებით კანდიდატის შეფასებისას გაითვალისწინება საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მახასიათებლები:

- *სამართლის ნორმების ცოდნა;*
- *სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;*
- *წერის უნარი;*
- *ზეპირი კომუნიკაციის უნარი;*
- *პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;*
- *აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;*
- *პროფესიული აქტივობა.*

სამართლის ნორმების ცოდნა

გასაუბრების შედეგად კანდიდატმა შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატი ფლობს ცოდნას ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებების მიმართულებით, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის კუთხით. თუმცა, კანდიდატს უკეთ ფლობს, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას, რაც წარმოადგენს მის სპეციალიზაციას.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატს დაესვა არაერთი სამართლებრივი და

ზოგადი ხასიათის შეკითხვა. თავის მხრივ, კანდიდატი ცდილობდა ამომწურავად და დასაბუთებულად ემსჯელა საკითხზე და დაეფიქსირებინა თავისი მოსაზრებები და ხედვები. თავისი სპეციალიზაციის ფარგლებში არსებულ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა იყო საკმარისად დასაბუთებული და ამომწურავი. თუმცა, გარკვეულ საკითხებზე კანდიდატის მსჯელობა იყო ზოგადი, კერძოდ, რა განსხვავებული კომპეტენციები არის და სად გადის ზღვარი ნორმატიული აქტის კანონიერების განხილვისას საკონსტიტუციო და საერთო სასამართლოების უფლებამოსილებებს შორის.

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატმა გამოავლინა, რომ აქტიურად ეცნობა საკანონმდებლო სიახლეებს. მათ შორის, მან იმსჯელა კონსტიტუციაში შესულ ცვლილებებთან დაკავშირებით, ასევე ბავშვის უფლებათა კოდექსთან მიმართებით.

საბოლოო ჯამში, გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატისათვის დასმული სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის საკითხებზე მსჯელობის შედეგად მან სრულად ანდა დამაკმაყოფილებლად ამოწურა საკითხთა სრული რაოდენობის დაახლოებით 85%.

<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

კანდიდატის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული გადაწყვეტილებები არის სათანადოდ დასაბუთებული და დამაჯერებელი, ამასთან, მხარეთათვის გასაგები.

კანდიდატს აქვს 20-წლიანი პროფესიული გამოცდილება, რომელიც მოიცავს 14-წლიან სამოსამართლო გამოცდილებას. მიმაჩნია, რომ კანდიდატს აქვს თავისი გამოცდილების შესაბამისი კომპეტენცია.

<u>წერის უნარი;</u>

თავის მოსაზრებებს კანდიდატი წერილობით აფიქსირებს საკმაოდ დასაბუთებულად და დამაჯერებლად, ამასთან თანმიმდევრულად, გამართულად და გასაგები ენით.

<u>ზეპირი კომუნიკაციის უნარი;</u>

გასაუბრების მიმდინარეობისას კანდიდატი თავის მოსაზრებებს აფიქსირებდა დამაჯერებლად, ღიად და გამჭვირვალედ. ამასთან, მან გამოავლინა უნარი მოთმინებით მოისმინოს სხვისი მოსაზრება.

<u>პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;</u>

	კანდიდატი არის პასუხისმგებლიანი და შრომისმოყვარე. მის პროდუქტიულობასა და სისწრაფეზე მეტყველებს მის მიერ საქმის განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადების საპროცესო ვადების დაცვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებელი (98,9%). კანდიდატი ახორციელებდა ბორჯომისა და ახალციხის რაიონული სასამართლოების თავმჯდომარის უფლებამოსილებებს, შესაბამისად, შესაძლებელია ითქვას, რომ მას გააჩნია სათანადო მენეჯერული უნარ-ჩვევები. კანდიდატს გააჩნია გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების უნარი. **<u>აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;</u>** კანდიდატი იშვიათად ესწრება შესაბამის პროფესიულ ტრენინგებსა და სემინარებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ის ღია არის სიახლეების მიმართ და მას აქვს თვითგანვითარების შესაბამისი უნარი. **<u>პროფესიული აქტივობა.</u>** კანდიდატი არ ეწევა სამეცნიერო საქმიანობას. თუმცა, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ის ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას. ის პერიოდულად ესწრება პროფესიულ შეხვედრებს.

სახელი და გვარი: ლევან გზირიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 27.05.2021 წ.